# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 ტელ: 5(99) 856 577 ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

KA000001381183516

№ 578-ს

28 / ივნისი / 2016 წ.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლისა და ,,ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 ივნისის №34 განკარგულების შესაბამისად **ვბრძანებ:**

**1.** გადაეცეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - დაბა ჩხოროწყუში, კოსტავას ქ. №22–ში მდებარე შენობის მე–2 სართულის დარჩენილი ნაწილი–161.8 კვ.მ. ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №46.02.43.007.01.500) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, უვადოდ.

**2.** ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

გამგებელი

დათო გოგუა